



შირაკი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (9.890)

17 - 24 აპრილი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

დედოფლისწყაროს მერმა მოქალაქეებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა გააცნო

მვ. 2



მევენახეებს კადასტრის ამონაწერის აღების ვადა ორ კვირაში ეწურებათ

მვ. 2

მვ. 8



სვლილაზაზი ბართვის მოძოხოზი ალაზის წასი

უნიკალური აღმოჩენა დედოფლისწყაროში – გადაინერება თუ არა ისტორია?!



დედოფლისწყაროში გვიანი ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციის ნაშთებს მიაგნეს. მათ შორისაა სარიტუალო ნაგებობები და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობები. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ საქმე გვაქვს ქართული სახელმწიფოებრიობის ერთგვარ სათავეებთან. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნაგებობების კედლის ნაშთები, რომლებიც გვიანი ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციაზე მიუთითებს.

წერილ ქვებთან ერთად არქეოლოგიური გათხრებისას დიდი რაოდენობით კერამიკის ნამტვრევებიც აღმოაჩინეს. ეს და კიდევ სხვა მასალები, სპეციალისტებს საუკუნეების მანძილზე მიწით დაფარული ნამოსახლარის დათარიღებაში დაეხმარა. დაახლოებით კვადრატის ფორმის ნაგებობა, არქეოლოგების ვარაუდით, გვიანი ბრინჯაოს, ადრე რკინის პერიოდისაა, და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ დედოფლისწყაროში, ე.წ. საყარაულო სერზე და მის გარშემო პერიმეტრზე, კიდევ რამდენიმე მსგავსი ნაგებობაა აღმოჩენილი. პაატა ბუხრაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ცენტრის წარმომადგენელი ამბობს, რომ ეს წინარე სახელმწიფოებრივი გაერთიანება შეიძლება იყოს. „აქ არის მთელი წყება ანალოგიური პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებისა. იმ პერიოდში, ქრისტემდე მეთორმეტე-მეათე საუკუნეებში, ინტენსიურად იყო ათვისებული ეს მიდამო. რა თქმა უნდა, ამას ხელს უწყობდა გარემო პირობებიც, წყლის სიუხვე. კავკასიაში უძველესი სახელმწიფო იყო ურარტუ. აქ აღმოჩენილი ნამოსახლარი წინარე ურარტული ხანისაა“.

სახელმწიფოებრივი გაერთიანების დამადასტურებელ მასალებს არქეოლოგები 30 ივლისიდან აგროვებენ. სანამ გათხრებს დაიწყებდნენ, ჩატარდა გეომაგნიტური პროსპექცია, აიზომა მთელი არეალი, და მხოლოდ ამის შემდეგ, ექსპედიციის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპის დროც დადგა: „ამ ეტაპზე საშუალება გვქონდა, გავგვეტრა, დაახლოებით, 400 კვადრატული მეტრის ფართო-

ბი. დიდი რაოდენობით ამოვიდა კერამიკა, გამოიკვეთა არქიტექტურული ნაგებობის ნაშთები. იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ ამ წელს გალავნის ფრაგმენტის დაფიქსირებას, იმიტომ, რომ მთელ ამ ნაგებობას შემოუყვებოდა გალავანი“-ამბობს შორენა ღვინიაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ჰალეს უნივერსიტეტის დოქტორანტი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სასწავლო არქეოლოგიური კვლევითი პროექტი „კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, უკვე მესამე წელია, მიმდინარეობს. პირველი მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ე.წ. ნაზარლების ნამოსახლარი, რომელიც მიმდინარე ექსპედიციის მახლობლად მდებარეობს. 2018 წელს, იქ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიკვეთა სამლოცველო ნაგებობა, რომელშიც ბრინჯაოს განძიც ინახებოდა. „ასეთი ერთი იყო განჯასთან ყორღანში. იქიდან მოყოლებული, დაახლოებით, კავკასიის სამხრეთ ფერდობამდე, ყვარლის მიმდებარე მხარე მაქვს მხედველობაში, ერთი სასულიერო ადათობრივი ტერიტორია იყო“.

ე.წ. საყარაულო სერზე ქართულ-გერმანული თანამშრომლობის შედეგად დიწყო. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები, თითქმის ორი კვირაა, რაც ერთობლივად მუშაობენ. „ჩვენ ვიმყოფებით სამრეკლოში, ალაზის ველის სიახლოვეს. არქეოლოგიურ სამუშაოებში აქტიურად არიან ჩართულები გერმანელი სტუდენტები. იმედი გვაქვს, მომავალ წელს ქართველი სტუდენტებიც ჩაერთვებიან. ვაპირებთ საზაფხულო სკოლის გაკეთებას, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას, მნიშვნელოვან პროექტებზე იმუშაონ. აღსანიშნავია, რომ თუ ამ ძეგლის ცენტრალური ნაწილი გამოჩნდა, ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ექსპედიციას“-აცხადებს სიმონ პრნოლი, ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორი.

პროექტზე მუშაობა 24 აგვისტომდე გაგრძელდება, თუმცა, უფრო მასშტაბურ არქეოლოგიურ სამუშაოებს სპეციალისტები მომავალი წლიდან გეგმავენ.

6 პროდუქტში არასაკვები დანიშნულაზის საღებავები აღმოაჩინეს

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შექმნილი 42 დასახელების ტყე-მლისა და პომიდვრის საწებლებში, ავიკასა და დაფქულ ნითელ წინაკაში არასაკვები დანიშნულაზის საღებავები აღმოჩნდა.

ორგანიზაციის ვებგვერდზე, მომხმარებელი.გე-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, არასაკვები საღებავების ჯგუფის (12 საღებავი) შემცველობაზე შესამოწმებლად პროდუქტების ნიმუშები გერმანიის ლაბორატორიაში იყო გაგზავნილი.

ორგანიზაცია მომხმარებლებს მოუწოდებს, არ მიირთვან იმ პარტიის ნიმუშები, რომლებშიც არასაკვები საღებავები აღმოჩნდა. მათი განმარტებით, მართალია, გამოკვლეულ პროდუქტებში არასაკვები საღებავები უმეტესად მცირე ოდენობით იყო, მაგრამ ამ საღებავების სისტემატური მოხმარება ხელს უწყობს ან სიმსივნის წარმოქმნას ან გენების გადაგვარებას.

„სუდანის“ ჯგუფის საღებავები გამოიყენება სურსათისათვის მონითალო შეფერილობის მისაცემად. 2018-2019 წლებში, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან შეტანილი სუნელების 3



პარტიაში გამოვლინდა საღებავი „სუდანის“. საქართველოში მოქმედ ლაბორატორიებს არ გააჩნიათ აკრედიტაცია სურსათში ზემოთ დასახელებული საღებავების საკვლევად. სურსათის ეროვნულ სააგენტოს 2019 წელს დაგეგმილი აქვს სურსათის 10 ნიმუშის შემოწმება „სუდანის“ ჯგუფის საღებავებზე. ნიმუშები საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს, — აცხადებენ სტატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრში.

კვლევის შედეგების თაობაზე წერილები სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და შესაბამის მენარმებთან გაიგზავნება.

მამუკა ბახტაძე სამთავრობო ცვლილებებზე - ეს საკითხი პერიოდულად ისევ და ისევ ისმება - სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკას ეს ახასიათებს

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით დასმულ კითხვას არ პასუხობს. ყურნალისტიკის კითხვაზე: შესაძლოა თუ არა შემოდგომაზე მინისტრთა კაბინეტში გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს, პრემიერი სამთავრობო პროგრამაზე საუბრით პასუხობს.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გუნდში ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ 2020 წლის საარჩევნო პროგრამა საზოგადოების მტკიცებულ გამოწვევებს პასუხობდეს.

„მე ფაქტობრივად ამ კითხვას რამდენჯერმე გავეცი პასუხი. სამწუხაროდ, ეს საკითხი პერიოდულად ისევ და ისევ ისმება. ეს გასაგებია. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკას ეს ახასიათებს. მთავარია პროგრამა. პროგრამა, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს არის ერთმნიშვნელოვნად სწორი გზა იმისთვის, რომ დაველოდოთ საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. მე ვფიქრობ, ამაზე უნდა იყოს ძირითადი საუბარი.“

ჩვენ ვართ გუნდი და ჩვენ გვაქვს პირდაპირი კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ჩვენს გუნდში ყველაზე მნიშვნელოვანი არის, რომ ჩვენ 2020 წლის საარჩევნო პროგრამით, რომლითაც წარვდგებით ქართული საზოგადოების წინაშე, პასუხობდეს ყველა იმ მტკიცებულ გამოწვევას, რომელიც არის ჩვენი საზოგადოების წინაშე,“ - განაცხადა ბახტაძემ.

მამუკა ბახტაძე - გუდამაყრის და არხოტის ხეობებს, შატილს და მუცოს მალე ინტერნეტი ექნება, იგეგმება მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაც

გუდამაყრის და არხოტის ხეობებს, შატილს და მუცოს მალე ინტერნეტი ექნება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მუცოს მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

როგორც მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, ასევე იგეგმება მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ელექტროენერჯის პრობლემას გადაუჭრის.

„ჩვენ დავიწყეთ ინტერნეტიზაციის პროექტი. ინტერნეტი მალე იქნება ყველგან - გუდამაყრის ხეობაში, ამავე დროს ინტერნეტი ძალიან მალე იქნება შატილის თემში, აქ, მუცოში. არხოტის ხეობაში.“

ძალიან დიდი პრობლემა დგას აქ ელექტროენერჯის მიწოდების კუთხით. ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიამ, როგორც დიდმა ქართველმა მამულიშვილმა, დაინახა ამ უნიკალური ადგილის მნიშვნელობა და სწორედ ის იყო პირველი, რომელმაც დაიწყო მცირე ჰესის მშენებლობა არხოტის ხეობაში და ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მისი საქმე. სულ მალე ხეობაში აშენდება მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერჯით უზრუნველყოფს ყველას. ამ კუთხეს აქვს უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი. მთავარია, რომ ჩვენ შევქმნათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ადგილობრივ მცხოვრებლებს ჰქონდეთ ყველანაირი წინაპირობა იმისთვის, რომ აქ განავითარონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები. ყველას გარწმუნებთ, რომ აქ ჩამოვა უზარმაზარი რაოდენობის ტურისტები“, - განაცხადა ბახტაძემ.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, კობა ქურციკიშვილთან და ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის სპეციალისტთან, ნოდარ ზურაბილთან ერთად ქ. დედოფლისწყაროს N 1 საჯარო სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში მოხდება სკოლის სახურავის გადახურვა, სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია და სხვა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტის სკოლების რეაბილიტაცია აქტიურად ხორციელდება და ის ყველა სკოლას ეტაპობრივად ჩაუტარდება. მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდება.

ჩემი გადასახედიდან, ეს საკმარისი ნამდვილად არ იქნება

ჩემი აზრით, ეს არ შეესაბამება იმას, რაც უნდა არსებობდეს, - ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მონაცემებზე ჟურნალისტიკის მიერ დასმულ კითხვას.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ კითხვას, საარსებო მინიმუმის დაანგარიშების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, დეტალური პასუხი „საქსტატმა“ უნდა გასცეს.

„წინა სტატისტიკის გამოქვეყნების დროსაც განვაცხადეთ, რომ არსებობს საერთაშორისო მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც „საქსტატი“ ითვლის ამ ყველაფერს. ამაზე „საქსტატმა“ უნდა გასცეს დეტალური პასუხი. ჩემი გადასახედიდან, ეს საკმარისი ნამდვილად არ იქნება“, - განაცხადა პრემიერმა.

„საქსტატის“ მონაცემებით, ივლისში საქართველოში საარსებო მინიმუმმა 187 ლარი და 20 თეთრი შეადგინა, რაც ივლისში არსებულ 188.1 ლართან შედარებით 90 თეთრით ნაკლებია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ივლისის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 187.2 ლარია, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი - 165.8, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი კი 313.9 ლარი.

ამასთან, ორსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი ივლისში - 265.2 ლარით განისაზღვრა, სამსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი - 298.4 ლარია; ოთხსულიანი ოჯახის - 331.5 ლარი; ხუთსულიანი ოჯახის - 373 ლარი; ხოლო ექვსსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი - 441 ლარი.

დედოფლისწყაროს მერმა მოქალაქეებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა გააცნო



საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრამა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფას გულისხმობს.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მოქალაქეებს 6 ქრონიკული დაავადების სამკურნალო 35-ზე მეტი სამედიცინო პრეპარატის შეძენა სიმბოლურ ფასად-1 ლარად შეეძლებათ.

აღნიშნული სამედიცინო პაკეტით გათვალისწინებული მედიკამენტებისა და მოსარგებლეთა ჯგუფების შესახებ დეტალური ინფორმაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სოფელ ხორნაბუჯისა და ზემო მაჩხანის მოსახლეობას პირადად მიანოდა და საინფორმაციო მასალა გადასცა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი პროგრამით მოსარგებლებს მერის წარმომადგენლებთან, საკრებულოს წევრებთან და სპეციალისტებთან ერთად ეწვია. მერის განცხადებით, ის და მისი თანამშრომლები მოსახლეობას მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედებიან და მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამას გააცნობენ.

მერმა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კახეთის რეგიონული პროექტების სამსახურის კოორდინატორთან, გიორგი კიკნაძესთან ერთად ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედისა და ფიროსმანის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

„ჩვენ აქტიურად ვახორციელებთ იმ მშენებლობების მონიტორინგს, რომლებიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება. აღნიშნულ პროცესში ჩართულები არიან მერის წარმომადგენლებიც. გარდა ამისა, ვხვდებით მოსახლეობას და ამა თუ იმ პროექტთან დაკავშირებით ვისმენთ მათ მოსაზრებებს. ასევე, მათთან ერთად ვსახავთ სამომავლო გეგმებსაც“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

მევენახეებს კადასტრის ამონაწერის აღების ვადა ორ კვირაში ეწურება

ვენახეების კადასტრის ამონაწერის აღების ვადა ორ კვირაში დასრულდება. 2019 წლის რთველის დროს „ქინძმარაულის“, „ახაშენის“, „ყვარლის“ და „მუკუნის“ მიკროზონების ყურძნის ჩაბარება მხოლოდ ვენახეების კადასტრის ამონაწერის საფუძველზე მოხდება.

კადასტრის ამონაწერის დასამონტაჟებლად მევენახეებში პირველ სექტემბრამდე უნდა მიმართოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს ყვარელსა და გურჯაანში, ასევე გურჯაანის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლების საკრებულოებში: ველისციხე, კალაური, ვაჩნაძიანი, ჩუმლაყი, ვაზისუბანი, ახაშენი, მუკუნანი და შაშიანი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, ამის გარდა, შექმნილია კადასტრის მობილური ჯგუფი, რომელიც გადაადგილდება გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების სოფლებში.

„აღნიშნული მიკროზონებიდან ჩასაბარებელი ყურძნის რაოდენობა განსაზღვრულია: ერთი ჰექტრიდან არაუმეტეს ათი ტონა. ათ ტონაზე მეტი რაოდენობის ჩასაბარებელი ყურძენი, შეფასდება როგორც ჯიშური ღვინის მასალა. ამონაწერი გაიცემა უფასოდ“, - აღნიშნავენ ღვინის ეროვნულ სააგენტოში.

საქართველოს ვენახეების ეროვნული კადასტრის შექმნის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული ღვინის ხარისხის და კონკურენტუნარიანობის გაზრდას მსოფლიო ღვინის ბაზარზე, უზრუნველყოს რთველის პროცესის გამარტივება და გამჭვირვალედ ჩატარება.



ყურძენზე წელს, შესაძლოა, დაბალი მოთხოვნა იყოს

ღვინის ეროვნული სააგენტო ვარაუდობს, რომ 2019 წლის რთველის განმავლობაში კერძო კომპანიების მხრიდან ყურძნის შეძენაზე დაბალი მოთხოვნა იქნება. როგორც სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზელამ განაცხადა, ამის მიზეზი რუსეთის მიმართულებით ქართული ღვინის ექსპორტის შემცირებაა.

„წელს რთველის მიმდინარეობას შესაძლოა შეექმნას გარკვეული გამოწვევები, რადგან ბოლო პერიოდში მეღვინეობა-მევენახეობის დარგში არაერთი ნეგატიური მოლოდინი შეიქმნა, რამაც საბოლოოდ, კერძო სექტორის აქტივობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს. კერძოდ,“

2019 წლის ივლისის ბოლოს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად, რუსეთის მხრიდან ქართული ღვინის იმპორტზე მოსალოდნელი, შესაძლოა სანქციების დაწესებამ გამოიწვიოს ქართული ღვინის ყველაზე დიდ საექსპორტო ბაზარზე - რუსეთის მიმართულებით ექსპორტის შემცირება და გააჩინა მოლოდინი, რომ მიმდინარე წლის რთველის პროცესში ღვინის მწარმოებლების, კერძო კომპანიების მხრიდან ყურძნის შესყიდვის მოთხოვნა შესაძლოა იყოს ნაკლები“, - განაცხადა ლევან მეხუზელამ.

სააგენტოს მონაცემების თანახმად, რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტი მაისთან შედარებით ივლისში 27%-ით შემცირდა. როგორც ლევან მეხუზელამ განაცხადა, მაისის თვეში საქართველოდან რუსეთის მიმართულებით გადაიტვირთა 4 მილიონ 500 ათასი ბოთლი ღვინო, ივლისის თვეში - 4 მილიონ 200 ათასი ბოთლი, ხოლო ივლისის თვეში - 3 მილიონ 500 ათასი ბოთლი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შარმანდელი რთველი რეკორდული იყო და მხოლოდ კახეთში 230 ათას ტონაზე მეტი ყურძენი გადაამუშავდა, რითიც მევენახეებმა 300 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს. წელს კახეთში 200-დან 250 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდებიან.

„ეს ასევე ქმნის მოლოდინს, რომ თავისუფალ ბაზარზე ყურძენზე, განსაკუთრებით კი თეთრ ყურძენზე მოთხოვნა შედარებით დაბალი იქნება. აღნიშნულის მიუხედავად, ღვინის ეროვნული სააგენტო მაქსიმალურად მობილიზებულია, რომ მევენახეებს ყურძნის ჩაბარების პროცესში შესაძლო პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრაში დაეხმაროს და 2019 წლის რთველი, მაქსიმალურად, შეფერხებების გარეშე ჩავატაროთ“, - განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ.

კახეთში რთველის საკოორდინაციო შტაბი წელსაც თელავში იმუშავებს, მოსავლის აღება კი რამდენიმე დღეში დაიწყება. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან მთავრობა რთველის სუბსიდირებას აღარ ახდენს.

ოკუპაცია გრძელდება

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარის განაპირას განაგრძობენ ე.წ. საზღვრის გაკვრას.

7 აგვისტოს დადგმულ ძელებს და მათზე 14 აგვისტოს გაკვრულ ე.წ. სასაზღვრო ლოებს დღეს, 15 აგვისტოს კიდევ რამდენიმე ძელი დაამატეს.

საოკუპაციო ძალები ამ უკანონო სამუშაოებს აწარმოებენ გუგუტიანთკარის და რაზმაძეების მიწის ნაკვეთებზე, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოაქცევენ. ძელებს მიღმა რჩება ამ ოჯახების ორი სახლიც, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ნახევრად დაინგრა და იქ დღეს არაფერია ცხოვრობს. ამასთან, ეს ოჯახები მიწის ნაკვეთებს ამუშავებდნენ და მოსავალი მოჰყავდათ.

გარდა ამისა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ექცევა სარწყავი ნაკვეთები, რომელიც წყლით ამარაგებს გუგუტიანთკარს და ახლომდებარე სოფლებს.

გუგუტიანთკარში იმყოფებიან ქართველი პოლიციელები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები. ევროპელი დამკვირვებლები საოკუპაციო ძალების ქმედებებს დოკუმენტურად აფიქსირებენ.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარში რუსებმა ბორდერიზაციის პროცესი გაანახლეს. ოკუპანტებმა ორ ოჯახს საცხოვრებელი სახლების დასატოვებლად სამდღიანი ვადა მისცეს. ქართული მხარე ისევ საერთაშორისო საზოგადოებაზე აპელირებს. დღეს უცხოელი დიპლომატები სოფელში ჩავიდნენ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარში რაზმაძეების და გუგუტიანთკარის ოჯახებს რუსმა ოკუპანტებმა განუცხადეს, რომ დატოვონ სახლები და გაიტანონ, რაც აქვთ. ეს ორი სახლი მავთულხლართების იქით დარჩა მას შემდეგ, რაც დილიდან რუსებმა ბორდერიზაცია განაახლეს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის ყოფილი სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის თქმით, „რუსეთი მსგავს ქმედებას მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თარიღებს ამთხვევს.“ ის, რაც ხდება, სამწუხაროდ, ახალი არ არის. მსგავსი შემთხვევები რეგულარულად ხდება. რუსეთი ყოველთვის ცდილობს, ამ ტიპის ღონისძიებები განახორციელოს საქართველოში მიმდინარე სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური თარიღების დროს. მაგალითად, ახლა 8 აგვისტოს მოვლენებს დაამთხვია. „თავის დროზე, როდესაც ოლიმპიადა იყო, მაშინ გააკეთეს მსგავსი რამ; სულ რაღაცას ამთხვევენ, რათა დაძაბულობა შეიტანონ საზოგადოებაში და ყურადღება

გადაიტანონ, რომ მოხდეს კონკრეტული თემიდან გასვლა. რუსეთს არ აწყობს საუბარი 8 აგვისტოზე, მათ ჩართულობაზე, ოკუპაციაზე და გადავდივართ ერთმანეთის ბრალდებებზე, რაც ქართველებს ძალიან კარგად შეგვიძლია. „ომოზიცია კარგად იყენებს ამ მომენტებს. მგონია, რომ რუსეთს ეს გათვალა აქვს. კარგად იცის ქართველების ხასიათი, როგორ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. რატომ ჩვეულებრივ დღეებში არ აკეთებენ ამას?“ - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ერიკ ჰოგი აცხადებს, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ადგილზე იმყოფებიან. „ღრმად შემოფოთებულები ვართ გუგუტიანთკარში, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესის გაგრძელების გამო. ახალი ბარიერების აღმართვა ზღუდავს თავისუფალ გადაადგილებას და ხელს უშლის მოსახლეობას ხეხილის ბაღებითა და წყლის რესურსებით ისარგებლონ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ადგილზე იმყოფებიან,“ - წერს ერიკ ჰოგი სოციალურ ქსელში.

ცნობისათვის, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკართან რუსმა სამხედროებმა სამუშაოები განაახლეს. მათ ძელებზე მავთულხლართები დაახლოებით 150 მეტრზე გაავლეს. საოკუპაციო ხაზს მიღმა, შესაძლოა, კიდევ ორი სახლი აღმოჩნდეს. „რაზმაძის სახლი 2008 წლის ომის დროს დაწვეს, ის სხვა ადგილას ცხოვრობს. დამწვარი სახლიდან რაც დარჩა, რაზმაძე შლის და სხვაგან გადააქვს. ასევე მიტოვებული გუტიანთკარის სახლის გვერდით გადის ე.წ. საზღვარი, რომელსაც ოკუპანტები ამ წუთებში ავლენენ,“ - აცხადებს სოფელში გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი რუსუდან კილაძე.

საკითხთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. სუს-ის ცნობით,

დღეს დილიდან გააქტიურებულია ცხელი ხაზი, ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. „ეს არის მორიგი უკანონო და დესტრუქციული ქმედება. აღნიშნული საკითხი ერგენტოში, ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრაზე მწვავედ იქნება დაყენებული,“ - აცხადებენ უწყებაში.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლება აცხადებს, რომ „საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის“ გაკვრისას ხელმძღვანელებს



ობს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრების რუკით.

„ბორდერიზაცია და მცოცავი ოკუპაცია ჰიბრიდული ომის განუყოფელი ნაწილია, ეს ფაქტიურად სამხედრო აგრესიაა და უქმნის საფრთხეს საქართველოს ეროვნულ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინტერესებს,“ - ასე ეხმიანება ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია რუსეთის მიერ საქართველოში მცოცავი ოკუპაციას.

ვახტანგ მაისაიას თქმით, ბორდერიზაცია რთული პროცესია. ის დაიწყო ომის დამთავრებისთანავე მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებული არაგონივრული პოლიტიკის წყალობით, რომელმაც მიაჩვია რუსი ოკუპანტები თავნებობას. სააკაშვილმა საერთოდ მოხსნა სამხედრო პოსტები და იქ განალაგა საპოლიციო ძალები, რომლებსაც, ბუნებრივია, არავითარი რეაგირების შესაძლებლობა არა აქვთ. ეს მათი კომპეტენციაც არ არის, რომ მტრული სახელწიფოს რეგულარული შეიარაღ-

ბული ძალების წინააღმდეგ რაიმე წინააღმდეგობა გასწონ. საპოლიციო „ჩეკ-პოინტები“ არავითარ შედეგს რომ არ იღებს, ეს ფაქტია. ბორდერიზაცია და მცოცავი ოკუპაცია ჰიბრიდული ომის განუყოფელი ნაწილია, ეს ფაქტიურად სამხედრო აგრესიაა და უქმნის საფრთხეს საქართველოს ეროვნულ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინტერესებს, მხედველობაში მიქვს ბაქო-თბილისი-სუფსას ნავთობსადენი, რომელიც ფაქტიურად უკვე მათ ხელშია, როდესაც საუბარია 2 კილომეტრიანი ზოლის ხელში ჩაგდებაზე. ასევე უახლოვებიან თბილისი-გორის ავტომაგისტრალს, რაც არის საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტი. თუ ამ ობიექტზე მოხდა თუნდაც რაიმეს დაკავება, ფაქტიურად საქართველოს სახელმწიფოებრიობას რეალური გამოწვევა შეექმნება.“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად ჩავიდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარში, სადაც რუსეთის საოკუპაციო ძალებს ე.წ. საზღვარი გაჰყავთ.

ლაშა დარსალიას განცხადებით, მნიშვნელოვანია, მთელმა მსოფლიომ თავისი თვალთ ნახოს ოკუპაციის შედეგი, რომელიც აუარესებს არა მხოლოდ უსაფრთხოების გარემოს, არამედ კონკრეტული ოჯახების მდგომარეობას. ლაშა დარსალიას ინფორმაციით, გუგუტიანთკარში ჩავიდა სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების 20-ზე მეტი წარმომადგენელი, მათ შორის 8 ელჩი.

„მოგეხსენებათ, საოკუპაციო ძალებმა განაახლეს ბორდერიზაციის პროცესი. როგორც კი მივიღეთ ეს ინფორმაცია, სახელმწიფომ აამუშავა შესაბამისი მექანიზმები. პირველ რიგში, გააქტიურდა ცხელი ხაზი და შესაბამისი კომუნიკაცია მოხდა. დაუწყებულა ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს, ასევე დაუწყებულა ჩვენს თანათავმჯდომარეებს და მივანოდეთ სრულყოფილი ინფორმაცია. შემდეგ მოხდა დიპლომატიური კორპუსის ორგანიზება და შეხვედრა გაემართეთ საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამის შემდეგ დავგეგმეთ, რომ უშუალოდ ადგილზე გაგვეცნო მათთვის სიტუაცია“ - განაცხადა ლაშა დარსალიამ.

მასალა მოამზადა ინგა შიოლაშვილმა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №251-ს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის სამემოდგომო განწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა განწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის სამემოდგომო განწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს № 360 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა განწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის სამემოდგომო განწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:


- ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;
- მამუკა ალაღაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, განწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- მალხაზ მარაბიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე, კომისიის წევრი;
- ირინა ზაქარეიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, განწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე

- რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
- ნიკოლოზ ბუთხუზი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;
- ზურაბ ჯანაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.
- 2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა განწვევა განხორციელდება 2019 წლის 12 აგვისტოდან 2019 წლის 28 დეკემბრამდე.
- 3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში განწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.
- 4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებული არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სამხედრო აღრიცხვის, განწვევისა და მობილიზაციის სამსახურში. ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.
- 5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებული არიან, განწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, განწვევის და მობილიზაციის სამსახურში.
- 6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორ-

- ციელდეს განწვევის მილიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.
- 7. თხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, განწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და განწვევი კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.
- 8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის სამემოდგომო განწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- 9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქი“.
- 10. ბრძანება ძალაში სავარაუდოდ გამოცხადებისთანავე და გაერცვლდეს 2019 წლის 12 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
- 11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 5 თებერვლის №81 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის სავალდებულო განწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა განწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.
- 12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქალაქი სიღნაღი. ცოტაეი დადიანის ქ. №15) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

და აღეშენენ ტაძარნი...



ვის: პოეტისა და მკვლევარის ვაჟა ოთარაშვილის კვლევის მიხედვით, გივიშვილების წარმომავლობა ამილახვრებიდან მოდის. იმის გამო, რომ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის სამარცხინო საქმისთვის თავი აერიდებინათ, გივი ამილახვრის ვაჟები გივიშვილებად დაწერილან და გვარიც აქედან წარმოშობილა.

-მამა იოვანე, ვიცო, რომ თქვენ საკმაოდ წარმატებული საერო ცხოვრება გქონდათ, რამ გადაგანწყვეტინათ ბერობა?

- ფრიადზე დავამთავრე გაერთიანებული საბჭოთა კავშირის ოფიცერი ვიყავი, ბატალიონის შტაბის უფროსის თანამდებობა მეკავა.

2013 წლის 24 ივლისს ჩემს მშობლიურ და საყვარელ სოფელ გამარჯვებაში სამების სახელობის ეკლესიის საძირკველის კურთხევას რომ დავესწარი, მას მერე იქ არ ვყოფილვარ. შორიდან, გზად მიმავალ-მომავალი ტრანსპორტიდან თუ შევავლებდი თვალს მის მშენებლობას, პირველად გადავისახავდი და მადლობას ვწირავდი უფალს, რომ ჩემს სოფელს მიეცა შესაძლებლობა, ასეთი ტაძარი აეშენებინა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი სკოლის ეზოში, სადაც ჯერ ბერიას ძეგლი იდგა და შემდგომ მხოლოდ პედესტალი დარჩა, სადაც სკოლის სამეურნეო საცდელი ნაკვეთი იყო და ბავშვები ვზარავდით, ვთესავდით, ვთობხნიდით და შრომას ვეჩვენოდით, ეკლესია დაიდგებოდა. და აი, ორიოდე დღის წინ ვენვიე და გულდასმით დავათვალიერე ყველაფერი. სიმაღლე გითხრათ, დიდი სიამოვნება მივიღე და გაოცებული დავრჩი იმ კოლოსალური შრომის გააზრებისას, რაც აქ არის ჩადებული. ეკლესიის აშენების იდეის და თავიდან ბოლომდე მისი განხორციელების უშუალო შემსრულებელი ტაძრის წინამძღვარი მამა იოვანე გახლავთ. ის ადგილობრივია, აქ დაიბადა დარმანტი და გულო გივიშვილების ოჯახში. პაპამისი - ვასო, ერთ-ერთი გამორჩეული კაცი იყო სოფელში - გონებაგახსნილი, განათლებული, ჭკუა რომ ეკითხებოდა, ისეთი. ორი ძმა იზრდებოდა ფუძეზე - პაპის მოსახელე ვასილი და ვაჟა. ვაჟა დღეს ინგლისში ცხოვრობს, ის მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონია ძალოსნობაში (სამჭიდაში). მისი მეუღლე და ორი ვაჟი კი თბილისში ცხოვრობს. ვაჟა ფიზიკურად შორს არის, მაგრამ სულ მხარში უდგას ძმას, ან უკვე მამა იოვანეს. **ცნობისათ-**

მამინ, როდესაც პენსია 8 ლარი, ხოლო საჯარო მოხელის საშუალო ხელფასი 50 ლარს ძლივს შეადგენდა, მე 500 ლარი ხელფასი მქონდა. უზრუნველყოფილი ვიყავი ბინით - ვაზიანში სამოთახიანი ბინა მომცეს, მაგრამ ჩემი ეკლესიაში წასვლის ამბავი უფლის ნება იყო წამდვილად. აკადემიაში სწავლისას მის ეზოში არსებულ ეკლესიაში ინტენსიურად დავდიოდი, ვიყავი სტიქაროსანი და მედვიტინე, საეკლესიო ცხოვრებაზე თავიდან არ მიფიქრია, მაგრამ ხშირად ჩამესმოდა ხმა - „ნეკრესის მონასტერი“. არაფერი ვიცოდი მის შესახებ და არც ვიყავი ნამყოფი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტე იქ წასვლა. წავედი და უკან აღარ დავბრუნებულვარ. მალევე გრემის მამათა მონასტერში გადამიყვანეს, სადაც მორჩილიდან ბერად აღკვეცამდე ყველა ეტაპი გავიარე. 2001 წლის 14 ოქტომბერს, 21 წლის ასაკში, დავტოვე საერო ცხოვრება. 24 წლისა ბერად აღმკვეცეს. ასე დაიწყო ჩემი ღვაწლი.

-მშობლიურ სოფელში ეკლესიის აშენების იდეა როგორ გაჩნდა?

- ნეკრესის მონასტერში ყოფნისასვე ჩაეყარა საფუძველი იმაზე ფიქრს, რომ სოფლის ცენტრში აშენებინა ეკლესია. ელოცულობდი და უფალს ვთხოვდი, ადგილის მინიშნებას. ზოგადად, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, მათ შორის აკადემიკოსებიც. ჩემთან ნეკრესში სტუმრობისა და ურთიერთობის შემდეგ ჩემი 8 მეგობარი აკადემიკოსი გახდა სხვადასხვა რანგის სასულიერო პირი. ჩვენ ერთმანეთს სულ მხარში ვუდგავართ. ჩემთან, ნეკრესში მოდიოდნენ, აგრეთვე, თანასოფლელი ახალგაზრდები. ჩვენ ყველა ვოცნებობდით ეკლესიის აშენებაზე. ერთხელაც,

ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს, ავდექი და ნაბიჯებით გადავზომე 22 მეტრის სიგრძე, 11 მეტრის სიგანე და ვთქვი: აი, ამ ზომის ეკლესია უნდა ავაშენოთ-მეთქი. გარშემო ტერიტორიამ მეტის საშუალება არ მომცა. ალბათ, ესეც უფლის ნება იყო. სიმაღლედ 13 მეტრი ავიღეთ, მაგრამ ნეკრესიდან აქ მშენებლობას ხომ ვერ დავიწყებდი?! 2013 წლის 18 იანვარს ნეკრესელი მიტროპოლიტის სერგი ჩეკურიშვილის ლოცვა-კურთხევით ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში გადმოვედი. მაშინდელი ეპისკოპოსის-მელქისედეკის ხელდასმით დავინიშნე გამარჯვებაში არსებული სამლოცველო სახლის (კულტურის სახლის შენობაში ერთი ოთახი ეკავა) წინამძღვრად. ნაფიქრალ-ნაზრევით რეალობად ქცევის დრო დადგა, მაგრამ ხელში ერთი თეთრიც არ გვეჭირა. პროექტი არქიტექტორმა სერგო ქართველიშვილმა უსასყიდლოდ გაგვიკეთა. საძირკველის ამოღება კი იმ თანხებით მოვახერხეთ, რომელიც დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტით მოგროვდა. ბევრი სკეპტიკოსი ამბობდა, რომ ეს საქმე წინ ვერ წავიდოდა, აქედან არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ უფლის იმედს არ ვკარგავდი, დაუცხრომლად ვლოცულობდი და შემწეობას ვევედრებოდი ღმერთს. პირველად დღიდან დღემდე ყოველდღე ვატარებ სავედრებელ პარაკლისს, გრაფიკი ეკლესიის კარზეა გამოკრული. და აი, პირველი შემომწირველიც გაჩნდა. ლევან გიგაური, რომელიც დედაქალაქში ცხო-

ლოცვითა წმიდითა მამათა ჩვენთათა უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვიწყალენ ჩუენ. ამინ!

გივიშვილმა დაამზადებინა. სულ მუდამ გვერდში მიდგას ჩემი მეგობარი ალექსანდრე ჭიკაიძე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, თავისი წვლილი შეიტანა ბიძინა პოპიაშვილმა, რომელსაც დედოფლისწყაროში სამშენებლო ბლოკის საამქრო აქვს. ეზოში დაიკიდა სამრეკლოს ზარი, რომელიც ყოველდღე, 3 საათში ერთხელ, ირეკება შვიდგზის ლოცვების საუნწყულად. ამ 100 კილოგრამიანი ზარისთვის, რომელიც ქართული ტექნოლოგიით არის დამზადებული, შეიცავს სპილენძს, კალას და სხვა ძვირფას დანამატებს, მასალებით შეგვიწინვინ აჩიკო პოპიაშვილი, გოჩა გონაშვილი და ვანო ფიროსმანაშვილი, ხოლო მისი დამზადების ხარჯი - 2.500 ლარი, თავისი ახლადშეგვიწეული ერთადერთი დის თამილა პოპიაშვილის სახელზე, გაიღო ქ. დედოფლისწყაროში მცხოვრებმა თემურ პოპიაშვილმა.

- მამო, თანხა თანხა, მაგრამ რაც სამშენებლო მასალებს სჭირდება, იმაზე მეტი მუშახელს უნდა ვინ გვხმარებოდით?

- სოფელში თითქმის არ არის ოჯახი, ერთჯერადად, ხანაც მთელი კვირა და უფრო მეტიც, რომ არ მიეღოს მონაწილეობა. ძალიან იაქტიურებს მოსწავლეებმა და არა მარტო ჩვენი სკოლის, ზემო მაჩხანის სკოლის მოსწავლეები კვირით-კვირამდე მუშაობდნენ, დიდი მადლობა მათ. მადლობა სასაზღვრო პოლიციის და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს



ვრობს და თავისი ბიზნესი აქვს, საჭირო არმატურით და ცემენტით დავგვხმარა, ზრეშით, უსასყიდლოდ, ვახტანგ კიკილაშვილმა მოგვამარაგა. ორი დღე-ღამის განმავლობაში შეუჩერებლად ვმუშაობდით, მთელი სოფლის ახალგაზრდობა და უფროსკლასელები იყვნენ ჩართულები და საძირკველი მოვასწორეთ. ეს იყო 2013 წლის 15 ივნისი. 24 ივლისს კი მეუფე მელქისედეკმა საძირკველი აკურთხა და დიდი ტრაპეზიც გადავიხადეთ, თითქმის მთელი სოფელი ფეხზე იდგა. თანდათან წამოვიდა ქველმოქმედებაც. ძალიან დიდი წვლილი აქეთ ეკლესიის მშენებლობაში ჩადებული თბილისში მოღვაწე გამარჯვებულებს: თამაზ ფიროსმანაშვილს, კობა ჭინჭარაულს, გივი ფიროსმანაშვილს, ტრაპეზის თეთრი მარმარილოს მოჩუქურთმებული ქვა (მაგიდა) ლევან ლორაშვილმა დაამზადებინა. ირაკლი ლარიბაშვილმა, თამაზ და ლექსო თამაზაშვილებმა ათას-ათასი დოლარი შემოსწირეს, შიგნით და გარეთ განათების პრობლემები თავის თავზე აიღო ზურაბ გონაშვილმა, იატაკის თეთრი და შავი მარმარილოს ნამსხვრევებით მოპირკეთების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა დიმიტრი კვინინაშვილმა, სოფელშიც შეგროვდა შემომწირულობა, ვისაც რამდენის საშუალება ჰქონდა, ის გაიღო. იაქტიურა კობა ჭინჭარაულმა. ეკლესიის გუმბათის მოოქროვილი ჯვარი ჩემმა ძმამ - ვაჟა

და მათ ხელმძღვანელებს დავით ჯალიაშვილს, მალხაზ ლომსიანიძეს, ზურაბ ლაპიაშვილს და სხვა ოფიცრებს, რომლებიც მაგალითს აძლევდნენ თანამშრომლებს და თავადაც, შეძლებისდაგვარად, შრომობდნენ მათ მხარდამხარ. ძალიან დიდ დახმარებას მინეც თემურ ბენაშვილი, რომელიც უამრავ საქმეს აკეთებს უანგაროდ. გამოჩეული მადლობა ჩვენს მეუფე დიმიტრის მხარში დგომოსთვის და გამხმრებისთვის. ყველას ჩამოთვლა ძალიან ძნელია, ალბათ, გამომრჩა კიდევ ვინმე, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი მათ, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო დიდი ღვაწლი ჩვენი სოფლის ქალბატონებისა და გოგონებისა, რომლებიც დაუზარებლად იღებდნენ მონაწილეობას მშენებელთა გამოკვებაში, ამზადებდნენ ტრაპეზს, შლიდნენ სუფრას, ალაგებდნენ, რეცხავდნენ ჭურჭლებს, ეს პატარა საქმე არ არის. მადლობა თითოეულ მათგანს. აქტიურობით გამოირჩეოდნენ თამარ არაბული, ელზა ბურდული, ლელა ჭინჭარაული (მედავითნე), თეა სულაშვილი და სხვები, მაგრამ მათ შორის მაინც გამოვყოფ მარინე სულაშვილს, რომელიც მზად არის, ნებისმიერ დროს, თავისი ხარჯით უზრუნველყოს ტრაპეზის ორგანიზება.

-ამ ყველაფერს თქვენთან ერთად ვინ უძღვებოდა?

(გაგრძელება გვ.)



და აღეშენენ ტაძარნი...

(მეხუთე გვერდიდან)

- ინჟინერი გახლავთ დავით ფხოველიშვილი, კონსტრუქტორი ზურაბ კუჭუხიძე, საქმის მწარმოებელი თემურ ალუღიშვილი.

- **თქვენს მიერ ჩაფიქრებული პარამეტრები - 22X11X13 დაცულია?**

- დიახ, დაცულია, მაგრამ არის რალა-ცეები, რაც უფლის ნებით თავისთავად

ლობისაა, პატრიარქის ხელდასმით მოხდა და მე ამით ბედნიერი ვარ.

- **მოსახლეობამ როგორ გაითავისა ნირვა-ლოცვაზე სიარული?**

- ტაძარი მხოლოდ შობის და აღდგომის დღეებში ივსება. სისტემატიურად მოსიარულე მრევლი 50 ადამიანამდეა, რაზეც ძალიან მტკივა გული. გული მტკივა იმაზეც, რომ ეკლესიაში არ დადის სოფლის ინტელიგენცია, მასწავლებლები

სპეციალისტი ვარ. კარგი იქნება, თუ გინდ 1 საათიც რომ მქონდეს და ბავშვებთან დაკონტაქტების საშუალება მომეცეს.

მინდა გითხრათ, რომ მამოს ამ ნათქვამმა გული დამწყვიტა. ეკლესია, რომლის მსგავსსაც ნებისმიერი სოფელი თუ ქალაქი ინატრებდა, ცარიელი არ უნდა იყოს. ეკლესიის შიდა ინტერიერი თუთარად ქაოტაობას და სულიერი სიმშვიდით და შთაგონებით ვავსებს. კანდელები ანთია, კედელზე ძვირფასი ხატები ჰკიდია. მთავარი ხატი სამებისა მრევლის და სოფლის მოსახლეობის შემონირობით შეიძინეს, სულაშვილებმა თავისი საგვარეულო ხატიც აქ დააბრძანეს, ვანო ლოლაშვილმა წმინდა ნინოს ხატი შესწირა, სხვამ - ლეთისმშობლისა, წმინდა გიორგისა და სხვა ხატები. ძვირფას ხეში ამოჩუქურთმებული ჯვარცმა მიცვალებულთა სულის საოხად მის წინ დანთებულ სანთელს ელოდება. ტაძრის მშენებლობა სპეციფიკურია და მას დიდი განსწავლულობა და დაკვირვება სჭირდება. სწორედ მამა იოვანეს უძილოდ გათენებული ლამეების, კარდაკარ სიარულის, სამეგობროს, სამეზობლოს, სანათესაოს რესურსის სრულად გამოყენების, მიზანდასახული და მტკიცე სასიათის ნაყოფია ეს მშენიერი ტაძარი, რომელიც დროსა და ჟამს გაუძღვება და საუკუნეებს შემოუნახავს ამ სოფლის გეოგრაფიულ მდგარობას თუ ისტორიულ წარსულს და აწმყოს. ამ ყველაფერს გააზრება და დაფასება სჭირდება. ტაძრის ეზოში პირადად მამა იოვანეს მიერ შექმნილი და დარგული 80 ძირი ცაცხვი უკვე შრიალებს. ტაძარს გზის პირზე მშენიერი დეკორატიული კედელი მიუყვება, რომელიც სოფლის მცხოვრებთა ერთსულოვანი გადამწყვეტილებით სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გაკეთდა, სოფლის ცენტრის

გალამაზების მიზნით. და როგორც ამ მიზანმა გააერთიანა სოფელი, ასე მინდა ისინი განმტკიცდნენ და გაერთიანდნენ ქრისტიანულ რწმენაში, რწმენაში რომელმაც საუკუნეები გამოატარა ჩვენს ტანჯულ ერს და მაინც მოიყვანა დღემდე. შემოდგომამდე ძვირფასად მოჩუქურთმებული კანკელი დასრულდება და ტაძრის კურთხევაც მოხდება. მანამდე კი საძირკვლის გაჭრის დღიდან დაწყებული აქ სრულად ტარდება საღმთო მსახურება.

უფალი გვარავნეთ და გენეოდეთ, ჩემო გამარჯვებულბო, ჩემო უზუნდრელებო.

ნაირა ბორაშვილი

P.S. ისე, როგორც სხვა სოფლებს და დასახლებულ პუნქტებს, გამარჯვებასაც ბევრი მოუგვარებელი პრობლემა და დასახული მიზანი აქვს, რომელზეც, ალბათ, სხვა დროს უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. ახლა კი მათი თხოვნით ვიტყვი, რომ სოფელს ძალიან უჭირს წყალი, რომ წყლის ცენტრალური ავზი უყურადღებოდაა მიტოვებული, ღიაა და დაბინძურებული, რის გამოც უსაფრთხო არ არის, არც იქლორება და სასამელოდ თითქმის არ გამოიყენება. სწუხან, რომ სასაფლაოზე არ დგას ნაგვის ურნა და სოფლის შემოსასვლელში აღმართულ ჯვარს ხშირად ელექტროენერგია არ მიენოდება და ჩაბნელებულია. საოცნებო და მიზანი კი ის არის, რომ სოფლის ცენტრში არსებული კულტურის სახლის ან უკვე გაძარცვული და ფუნქციადაკარგული შენობის გარშემო არსებული ტერიტორია, რომელიც ერთ დროს მოვლილი და მოწესრიგებული იყო, ლამაზ პარკად, დასასვენებელ, სპორტული და კულტურული აქტივობების ცენტრად იქცეს.



ასე გამოვიდა. ტაძარი დღეს 33 სვეტზეა დაყრდნობილი, ნიშანდობლივია, ქრისტეს ასაკს რომ ემთხვევა. პირველად პროექტში ასე არ იყო, მშენებლობის პროცესში თაღების დამატება დაგვიჭირდა, რათა არ შეგვახებოდით ბერძნულ სტილს, საბოლოოდ კი 33 სვეტი გამოვიდა. რაც შეეხება იმას, რომ ტაძარი სამების სახე-

მაგალითს არ აძლევს ბავშვებს, სულ 4-5 პედაგოგი დგას ნირვაზე. დიდი შრომაა საჭირო მრევლის შემოკრებისთვის. ჩემი ინიციატივით, სააღმზრდელო მუშაობის მიზნით, სკოლაში 1 საათის გამოყოფა ვითხოვე. ექვსი გაკვეთილის შემდეგ მომცეს დრო. ძალიან გაჭირდა დადლილი და მშენიერი ბავშვების დაკავება. მე ისტორიის

თურქეთში, სავარაუდოდ, თამარ მეფის შვილიშვილის, გურჯი ხათუნის საფლავი აღმოაჩინეს

თურქეთში, სავარაუდოდ, გურჯი ხათუნის საფლავი აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას თურქეთში საქართველოს საელჩო საკუთარ ფეისბუქგვერდზე ავრცელებს.

„თურქეთის ქ. ერზურუმის პასინღერის რაიონში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგადაც, სავარაუდოდ, აღმოჩენილ იქნა სულთან ალაედინ ქეიყუბად II-სა და მისი დედის, გურჯი ხათუნად წოდებული თამარ დედოფლის შვილიშვილის სარკოფაგები. საელჩო ინყებს აღნიშნული საკითხის მოკლევას.“ - აღნიშნულია საელჩოს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, რომელსაც თან ახლავს თურქულ მედიაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიის ბმული.

ვიკიპედიაში გურჯი ხათუნის შესახებ შემდეგი ინფორმაციაა

თამარი, იგივე გურჯი ხათუნი (XIII საუკუნე), - საქართველოს მეფის რუსუდანის ასული იყო. მამამისი კი მოღის ედ-დინი, არზრუმის გამგებლის ტოღრილის ძე გახლდათ.

1236 წელს მიათხოვეს რუმის სულთან ყიას ედ-დინ ქეიხუსრევ II-ს (1236-1246 წწ.). თამარმა დიდი გავლენა მოიპოვა სულთნის კარზე. 1236 წელს მოჭრილ ფულზე სულთანმა სიმბოლოურად ამოატივფრინა მისი სახე (მზე ლომის ზოდიაქოში). ასე შეიქმნა აღმოსავლეთში



ცნობილი ემბლემა შირ-უ-ხირშიდ (ლომი და მზე), რომელიც შემდგომ სელჩუკის სხვა სულთნებმაც გამოიყენეს და მოგვიანებით სპარსეთშიც დამკვიდრდა.

სულთნის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის გამგებლობა ხელთ იგდო ვეზირმა მუინ ედ-დინ სულეიმან ფერვანამ და იმდროინდელი ტრადიციების მიხედვით სულთნის ქვრივი - გურჯი-ხათუნი ცოლად შეირთო. გურჯი-ხათუნი მეგობრობდა აღმოსავლეთის უდიდეს პოეტ ჯალალ ედ-დინ რუმისთან. დედოფლის მცდელობით შეიქმნა რუმის პირველი პორტრეტი. მისივე უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა პოეტის მწვანე თურბეტ (აკლდამა), რომელიც სელჩუკური არქიტექტურული მშენებებაა.

მონატრება

ნინო ტოლკლიკიშვილი-ალულიშვილი

რა უღმობელი ყოფილა წუთისოფელი, როგორი დაუნდობელი, დროც რა საოცარი სისწრაფით მიქრის... თითქოს გუშინ იყო, როცა ჩვენს გვერდით იყავი, გვაგებდი შენი სიყვარულით და სითბოთი. ჩემო ძვირფასო ნინო, ჩემო კარგო რძალო, შენი დაბადების დღე კარდის -18 აგვისტოს 51 წელი შეგისრულდებოდა. მეორე წელია, ავადმყოფობით განჯვალვამ დაგვტოვე და შენი სამუდამო განსასვენებელი დაგვიტოვე შენთან შეხვედრის ადგილად. რამდენი ოცნება და ფიქრი დაგრჩა აუსრულებელი, რამდენ სიხარულს დააკლდი. სულ მალე გოგონას ბებია გახდება, მაგრამ გული მტკივა, რომ შენი თვალები ვერ დაინახავს საყვარელ შვილიშვილს და შენი ყურები ვერ გაიგონებს მის ხმას. ძალიან მეტრალები. მეტრალება და მენატრება ჩემი 13 წლის უნახავი შვილი, შენგან ფთამოტენილი ჩემი გელა, სამშობლოს ნოსტალგიით გულდამძიმებული, უცხო მხარეში გადახვენილი, რომელიც მოკლებულია დედის აღზრდისა და ახლობლების თანადგომას. მარტოდ დარჩენილი მთელი ღამე თქვენზე ფიქრსა და ტირილში ვათენებ. ნათელში იყავ, ჩემო ხელმარჯვე, მეუღარებელო დიასახლისო, მეუღლე და დედა. ჩვენი ანთებული სანთლები გინათებდეს მარადიულ სასუფეველს. დაბადების დღეს გილოცავ, ძვირფასო!



„დაჟამალაჟო ცრემლებს, თვალებზე მომდგანს, და ჩვენს ხსოვნაში დაგტოვებთ ცოცხლად“.

შენი დედამთილი ნაირა ალულიშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს იაკობ იაკობიშვილს მამის გორას გარდაცვალების გამო.

მეუღლე იულია დათუკიშვილი, შვილები: ვანო და თამარი; რძალი ტატიანა სლადი, სიძე მოსე ზირაქიშვილი, შვილიშვილები: ანა, ნიკოლოზ ზირაქიშვილები, მამო ალადაშვილი იუნყებთან გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 აგვისტოს, სოფელ არბოშიკში.

ძმა ზურაბ ალადაშვილი, ძმისშვილები: ნინო, მაია, ლალი, სიძეები: დავით უტიაშვილი, თემურ ალულიშვილი, გაა გოგოშვილი, ძმისშვილიშვილები: ლევანი, თამთა უტიაშვილები, თამარი, ირაკლი ალულიშვილები, მარიამი და ზურაბი გოგოშვილები, და ელიკო, ცოლისძმა ზურაბ დათუკიშვილი ოჯახებით იუნყებთან გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ნაირა, ციხელო, გულნარა, სპარტაკი, ანგელინა, ლილა გორაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ზაზა სენიაშვილს და რუსუდან კიკლაშვილს მამის ზურაბ სენიაშვილის გარდაცვალების გამო.

სვლილები გართვის მოწოდების აღების წესში

სანეესტიციო კომპანია **Galt & Taggart**-ის კვლევის თანახმად, ქვეყანაში 1.23 მილიონი ადამიანი, რომელსაც დღეს მართვის მოწოდება აქვს. მართვის მოწოდების მისაღები წესები დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რთულდება და მისი საფასურიც მასთან ერთად იცვლება.

მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ორეტაპიანად გარდაქმნა, მართვის უფლების მისაღები გამოცდის საფასურის გაზრდას იწვევს. ასევე, იცვლება შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საფასურების განაკვეთები, ხოლო არსებულ სერვისებს ახალი მომსახურებებიც ემატება. როგორც სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ წერს, მს სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიულ გამოცდაზე დაშვება ხდება 20 ლარი, ნაცვლად 40 ლარისა. ამასთან, პრაქტიკული გამოცდა ორეტაპიანი ხდება და თითოეული ეტაპის საფასური დგინდება დამოუკიდებლად. „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ერთჯერადად დაშვების საფასურია - 40 ლარი, მეორე ეტაპზე ერთჯერადად დაშვების - 90 ლარი. „A“, „C“, „D“, „BE“, „CE“, „DE“ კატეგორიის და „A1“, „A2“, „B1“, „C1“, „D1“,

„C1E“ და „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ერთჯერადად დაშვების საფასურია 40 ლარი, მეორე ეტაპზე ერთჯერადად დაშვების - 150 ლარი.

ამასთან, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი ხდება. პირველი ეტაპი (სპეციალური მანევრები) დახურულ საგამოცდო მოედანზე ჩატარდება, როგორც ეს ამჟამადაც ხორციელდება, ხოლო მისი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მეორე ეტაპი რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში - წინასწარ შერჩეულ და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მარშრუტებზე ჩატარდება. გარდა ამისა, „A1“ ქვეკატეგორიის და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისთვის დადგენილი მინიმალური ასაკი იცვლება და ნაცვლად 17 წლისა, 18 წელი ხდება. „თუ აქამდე თეორიული გამოცდის ღირებულება 40 ლარი იყო, ახლა 20 ლარამდე შემცირდება, ხოლო შედეგების მოქმედების ვადა 1 თვიდან 1 წლამდე იზრდება. რაც შეეხება პრაქტიკულ გამოცდას, ახალ ეტაპს ახალი საფასური პოლიტიკა მოაქვს. B (მსუბუქი ავტომობილის) კატეგორიის მართვის მოწოდებისთვის ჩვენ მიერ კანონში წარდგენილი საფასური 90 ლარია, ხოლო სხვა კატეგორიებისთვის - 150 ლარი.

დახურულ მოედანზე გამოცდის ჩასაბარებლად კი, მოგეხსენებათ, ავტომობილი და მექანიკური გადაცემათა კოლოფის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის განსხვავებული საფასური ტარიფები მოქმედებდა. წარმოდგენილი ცვლილებით საფასურები გათანაბრდება და გამოცდის ჩასაბარებლად დახურულ მოედანზე ავტომობილი ყოველი გასვლა - ავტომობილი თუ მექანიკური ტიპის გადაცემათა კოლოფით - 40 ლარი ეღირება. დახურულ მოედანზე გამოცდის ჩაბარების შემდეგ მძღოლების კანდიდატი რეალურ საგზაო პირობებში გამოცდაზე დაიშვება, სადაც ყოველი გასვლა, კატეგორიის მიხედვით, 90 ან 150 ლარი ეღირება.“-აცხადებს მომსახურების სააგენტოს დირექტორი მარიანა მორგომია. ამასთან, აღსანიშნავია, უშუალოდ მართვის მოწოდების აღების საფასურიც, რაც სტანდარტულ პერიოდში 15 ლარი ჯდება.

რაც შეეხება პრაქტიკული გამოცდის რეალურ მოძრაობაში გადატანას, როგორც მორგომია აცხადებს, მართვის მოწოდების აღების მსურველს დაახლოებით 20 კილომეტრის გავლა მოუწევს რეალურ საგზაო სივრცეში. „ამგვარი მარშრუტები ყველა სერვისცენტრის მახლობლად მოეწყობა. ოთხი მარშრუტი უკვე განსაზღვრულია და მძღოლების მსურველს არ ეცოდინება, კონკრეტულად, რომელ მარშრუტს შეურჩევენ. პირველ ეტაპზე B კატეგორიის მართვის მოწოდების მისაღებად გამოცდის ჩაბარება შესაძლებელი იქნება ყველა ჩვენს სერვისცენტრში ზუგდიდისა და ფოთის გარდა, რადგან ამ ქალაქებში მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაო მიმდინარეობს და რეალურ საგზაო სივრცეში გამოცდის ჩასატარებლად სივრცეების განსაზღვრა რთულია. როგორც კი დასრულდება სამუშაო, გამოცდის მეორე ეტაპისთვის მარშრუტები იქაც დაიგეგმება. რაც შეეხება მართვის მოწოდების სხვა კატეგორიებს, პირველ ეტაპზე შესაძლებელი იქნება მათი აღება დასავლეთ საქართველოში - ქუთაისში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - რუსთავში,“ - აღნიშნავს მორგომია.

მარიანა მორგომიას განმარტებით, მართვის მოწოდების აღების მსურველ პირებს მიმართულებას, თუ რა მარშრუტით უნდა დაინყოს გადაადგილება, კომ-



პიუტერული პროგრამა მისცემს. „ვეროდირექტივა ზუსტად არეგულირებს ამ მიმართულებას, თუ რა ელემენტების გადალახვა უნდა მოახდინოს პირმა რეალურ საგზაო პირობებში, რათა მან მიიღოს მართვის მოწოდება. ჩვენც ეს ელემენტები გვაქვს ვეროდირექტივის შესაბამისად შერჩეული და ყველა ეს ელემენტი მარშრუტების შესაბამისად გვაქვს გამოყენებული. მაგალითად: გვირაბი შეიძლება ვერ გაიარო ბევრ სერვისცენტრში და ეს ელემენტი ყველგან შეიძლება არ გავრცელდეს, თუმცა აღმართი, მინიმალური და მაქსიმალური სიჩქარე, დაბრკოლებები, რომლებსაც ვეროდირექტივა იცნობს, მარშრუტები ისე გვაქვს შერჩეული, რომ მაქსიმალურად ყველა ელემენტის გამოყენება მოხდეს. გამოსაცდელი გავყავს ქალაქში და დაახლოებით 20 კილომეტრამდე იქნება თითო მარშრუტი, რომელიც უნდა გაიაროს მსურველმა. კომპიუტერი ავტომატურად დააგენერირებს მარშრუტს,“ - განაცხადა მარიანა მორგომიამ. ამასთან, მარიანა მორგომია მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ცვლილებები ავტოსკოლებში ხარისხიან სწავლებაზე მოთხოვნასაც გაზრდის. მან ასევე აღნიშნა, რომ ავტოსკოლები ამ ეტაპზე რეგულირებადი მიმართულება არაა და ამ კუთხით შსს მუშაობს. „ის ცვლილებები, რაც დღეს ჩვენ შეგვაქვს კანონპროექტში, გამოიწვევს ადამიანების მხრიდან გაზრდილ მოთხოვნას ხარისხიან სწავლებაზე, შესაბამისად ამ მიმართულებით ისედაც ვფიქრობთ, რომ ავტოსკოლები დაიხვეწიან. რაც შეეხება რეგულაციებს, ამაზე ვმუშაობთ“ - განაცხადა მორგომიამ. განსხვავებულად ყალიბდება არსებული სტუდენტური შეღავათები. კერძოდ, სტუდენტს შეღავათი ექნება AM კატეგორიის სატრანსპორტო საშუალე-

ბის მართვის უფლების მისაღები თეორიულ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვებისას. რამდენადაც აღნიშნული კატეგორიის მართვის მოწოდების მისაღებად პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების საჭიროება არ არსებობს, სტუდენტი თავისუფლდება AM კატეგორიის მართვის მოწოდების მისაღები გამოცდის საფასურის გადახდისგან. განხილვის თარიღს რაც შეეხება, პარლამენტი ამ კანონპროექტზე მუშაობას სამემოდ-გომო სესიაზე დაუბრუნდება. საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტს მასში წარედგინა. მისი ამოქმედება 1-ელი ივლისიდან იყო დაგეგმილი, თუმცა ვერ სესიაზე პირველი მოსმენითაც არ გასულა. აღნიშნულ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი ივლისის თვეში განვითარებული პოლიტიკური პროცესებით ხსენის. „აღნიშნული პროექტის გარდა, არის სხვა უამრავი პროექტი, თუმცა ცნობილი მოვლენების გამო ვერ ჩატარდა საკომიტეტო და პლენარული სხდომები და ვერ მოხდა მათი განხილვა. 20-21 ივნისის მოვლენების გამო პარლამენტის მუშაობა შეფერხდა. როგორც კი სამემოდგომო სესია განახლდება, მუშაობას დაიწყოებით ყველა პროექტზე, მათ შორის აღნიშნულ პროექტზეც“ - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ანრი ოხანაშვილმა. შეგახსენებთ, რომ მანქანის ქუჩებში - რეალურ მოძრაობაში მართვა გამოცდის მეორე ეტაპი, პირველ ეტაპზე კი მართვის მოწოდების აღების მსურველ პირებს გამოცდის ჩაბარება არსებული სისტემით - საგამოცდო მოედანებზე მოუწევთ.

ულოცავენ! რობან ყოჩიაშვილს!



ჩვენო თვალგებრილია მზეჭაბუკო! უკვე ერთი წელია, ჩვენს ოჯახში შემოვიღეთ, სიცოცხლეს გვილამაზებ და ცხოვრების ძალას გვაძლევს. ერთი წლის წინ, 20 აგვისტოს, შენმა დაბადებამ ჩვენი ცხოვრება გააფერხა და ამავდროულად მეტი პასუხისმგებლობით აავსო. ერთი წელია, შენი პატარა დედიკო და მამიკო - მარიამ კუპრაძე და გიორგი ყოჩიაშვილი, დაგფოფნივენ და დიდი სიყვარულით გზრდინ, თეშუკა კი „ძიო“ გახდა და ისე უყვარხარ, აღარ იცი რა ქნას. დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენი სიყვარული! უბედნიერესი და უძლიერესი გინდა იყო მთელი ცხოვრება. უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეს, ჩვენი ანგელოზო. ფერადი და ნათელი დღეები გეცხოვროს მუდამ. გვიყვარხარ, სიცოცხლეზე მეტად გვიყვარხარ!

დიდი სიყვარულით: ბებია და პაპა მანანა ზოსტოლანაშვილი და თამარ ყოჩიაშვილი. ნათელა ღრუბლაშვილს!

არიან ადამიანები, რომლებთანაც მეგობრობა და ურთიერთობა ღირსებას გმატებს. ამ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება ქალბატონი ნათელა, რომელმაც ოცდაათი წელი აფთიაქის გამგედ იმუშავა და სამ სოფელს და მათ შორის სამთანყაროსაც, ემსახურებოდა. საოცარი ენერჯითი და ტიტანური შრომით გამოირჩეოდა და ამ სოფლების მოსახლეობა დიდად ემადლიერებოდა.

ცნობილი თავკაცის - მიშა კობახიძის დიდი ოჯახის ბრწყინვალე დიასახლისს დღეს გულს უხარებს სამი შვილის - ლიას, კობას, ბარის და ცხრა შვილიშვილის წარმატებული საქმიანობა.

იგი ჩვენი მნიშვნელოვანი ასოციაციის აქტიური წევრია. მას 21 აგვისტოს 80 წელი უსრულდება. ისეთი პიროვნებისთვის, როგორც ჩვენი იუბილარია, ოთხმოცი წელი სიბრძნის, სინათლის წლებია...

ვუსურვებთ დღევრძელობას, ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას თავის დიდ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით, ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მნიშვნელოვანი ასოციაცია.

<p>ი ქ. დედოფლისწყაროში იყიდება 2 ოთახიანი, გარემონტებული ბინა ლოჯიით, სარდაფით და ავტოფარეხით. გამოდგება საოფისედაც. მისამართი: რუსთაველის ქ. №36, კორპუსი 40, ბინა 13, 1 სართული. ფასი 19 000\$. (ფასზე შეთანხმება შესაძლებელია).</p> <p>☎ 599 855832</p>	<p>ყ იყიდება საჯარო რეესტრის მალა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. დანერგილი იხორმაციისთვის დარეკეთ</p> <p>☎ 591092478</p>	<p>ი იყიდება პლასტმასის, შავი ფერის ყუთები საკვები პროდუქტებისათვის. თითოეულის ფასი 1 ლარი მსურველებმა დარეკეთ</p> <p>☎ 591 101524</p>	<p>ა იყიდება მუხის და ნიფელის ღვინის კასრები, ასევე იყიდება „გოლფი-2“ -ის მარკის ავტომანქანა კარგ მდგომარეობაში. მსურველები დაგვიკავშირდით ტელ:</p> <p>☎ 599 99 14 00.</p>
--	--	---	---

აპრილი		დეკემბერი		ოქტომბერი		ნოემბერი		დეკემბერი	
ორშაბათი 19.08 ღვ	სამშაბათი 20.08 ღვ	ორშაბათი 21.08 ღვ	სამშაბათი 22.08 ღვ	პარასკევი 23.08 ღვ	შაბათი 24.08 ღვ	კვირა 25.08 ღვ	ორშაბათი 26.08 ღვ	სამშაბათი 27.08 ღვ	სამშაბათი 28.08 ღვ
27°	25°	28°	26°	27°	25°	27°	26°	29°	28°

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ირაკლი შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორგოჯიანი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ეურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მეხვეერი); ნათელა ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭავაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფილოსოფის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	---	---